

უაკ: 785

საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები ბიბლიის ქართულ თარგმანებში

ნინო რაზმაძე

ხელმძღვანელები: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ემერიტუს პროფ. რუსუდან წურწუმია;
მუსიკოლოგიის დოქტორი დავით შულღიაშვილი;
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
თბილისი, 0108, საქართველო

ანოტაცია:

ქართული ინსტრუმენტარიუმის საფუძვლიანი შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ტერმინოლოგიური ასპექტების გამოკვლევას. წერილობითი წყაროების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ უფრო გავაღრმავოთ მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი ქართული ტერმინების შესახებ არსებული ცოდნა, რაც სხვადასხვა ლექსიკონსა თუ ენციკლოპედიაშია გადმოცემული.

ძველი ქართული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების კვლევისთვის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა ბიბლიის ქართული თარგმანები. ბიბლიიდან შესაბამის ციტატებს იმოწმებდა, ფაქტობრივად, ყველა ლექსიკოგრაფი თუ მკვლევარი, ვინც საკრავების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას ეხება (სულხან-საბა ორბელიანი, ილია აბულაძე, ივანე ჯავახიშვილი, ოთარ ჩიჯავაძე, მანანა შილაკაძე და სხვ.). სხვადასხვა ენაზე თარგმნილ ბიბლიაში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის კვლევა აქტუალურია მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით, ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში.

კვლევისას ერთ-ერთი სირთულე იმ ძველი სახელწოდებების იდენტიფიცირებაა, რომლებიც დღეისათვის აღარ გამოიყენებიან. ძველ წერილობით წყაროებში გავრცელებული ასეთი ტერმინები რამდენიმე ათეულით აღემატება დღეს პრაქტიკაში არსებულ ტერმინთა რაოდენობას და მათი უმეტესობის მნიშვნელობა ბუნდოვანია. მათ შორის, დიდი ნაწილი უცხოური ტერმინია, რომელიც თარგმანის ან ტრანსკრიფციის გზით არის შემოსული.

სტატიაში ამოკრებილი და შესწავლილია ბიბლიის ქართულ თარგმანებში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიური საკრავები, საკრავების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, ძველი ქართული საკრავები, ეჟვანი, წინწილა, ლინი, ბობლანი, ნესტვი, სასტვინველი, სტვირი, საყვირი, ავლი, რქა, ებანი, ქნარი, ფანდური, მულნი, ათძალი, საფსალმუნე, სამვიკი, კურთხევა, საგალობელი, ორღანო.

ქართული ინსტრუმენტარიუმის საფუძვლიანი შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ტერმინოლოგიური ასპექტების გამოკვლევას. წერილობითი წყაროების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ უფრო

გავაღრმავოთ მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი ქართული ტერმინების შესახებ არსებული ცოდნა, რაც სხვადასხვა ლექსიკონსა თუ ენციკლოპედიაშია გადმოცემული.

ძველი ქართული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების კვლევისთვის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა ბიბლიის ქართული თარგმანები. ბიბლიიდან შესაბამისი ციტატებს იმოწმებდა, ფაქტობრივად, ყველა ლექსიკოგრაფი თუ მკვლევარი, ვინც საკრავების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას ეხება (სულხან-საბა ორბელიანი, ილია აბულაძე, ივანე ჯავახიშვილი, ოთარ ჩიჯავაძე, მანანა შილაკაძე და სხვ.). ჯავახიშვილი ნათარგმნი ლიტერატურაში მოხსენიებული ყოველი საკრავის აღმნიშვნელი ტერმინის რაობის გასარკვევად მონაცემებს არა მხოლოდ ქართული ორიგინალური წყაროებიდან იმოწმებს, არამედ, შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, ბერძნულ, ლათინურ, სომხურ თარგმანებში არსებულ ტერმინებსაც მოუხმობს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერი პირველი გვთავაზობს მრავალი წყაროდან ციტატების მოცულობით ბაზას, რომელსაც შემოდგომში სხვა მეცნიერებიც ეყრდნობიან. ჯავახიშვილისთვის, ისევე, როგორც შემდგომ ყველა სხვა მეცნიერისათვის, სულხან-საბას ლექსიკონი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ბიბლიის ქართულ თარგმანებში მოხსენიებულ მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელ ტერმინებს საგანგებო სტატია მიუძღვნა შილაკაძემ (შილაკაძე, 2005: 297–304). იგი ქართულ მეცნიერებაში ბიბლიური საკრავების კვლევის ახლებურ მიდგომას გვთავაზობს, რაც გერმანელი მკვლევრის, ეინო კოლარის (Kolari, 1947) სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ მეთოდოლოგიას ითვალისწინებს.

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, კონკრეტულად, ბიბლიაში მოხსენიებული და ძველი ისრაელის/პალესტინის საკრავების შესახებ არა ერთი ნაშრომი არსებობს. მონოგრაფიული ნაშრომები აქვთ შექმნილი მონტეგიუს (Montagu, 2002), თეოდორ ბერგს (Burgh, 2006), ელენა კოლიადას (Kolyada, 2009), ჯონ არტურ სმიტს (Smith, 2011), იოაკიმ ბრაუნსა (Braun, 2012) და სხვ. ინფორმაცია ფართოდაა წარმოდგენილი ინტერნეტსივრცეშიც. სტატიაში მონტეგიუს ნაშრომს ვეყრდნობი, რომელიც გამოირჩევა წყაროების სიზუსტითა და ებრაული საკრავების საფუძვლიანი ცოდნით.

საკრავების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების კვლევისას ერთ-ერთი სირთულე იმ ძველი სახელწოდებების იდენტიფიცირებაა, რომლებიც დღეისათვის აღარ გამოიყენებიან. ძველ წერილობით წყაროებში გავრცელებული ასეთი ტერმინები რამდენიმე ათეულით აღემატება დღეს პრაქტიკაში არსებულ ტერმინთა რაოდენობას და მათი უმეტესობის მნიშვნელობა ბუნდოვანია. მათ შორის, დიდი ნაწილი უცხოური ტერმინია, რომელიც თარგმანის ან ტრანსკრიფციის გზით არის შემოსული. მათი შესწავლისას დავეყრდენი ოქსფორდის გროუვის მუსიკალური საკრავების ლექსიკონის მეორე, შევსებულ გამოცემას (*The Grove Dictionary of Musical Instruments*, 2nd edition, published in 2014), რომელიც მთელს მსოფლიოში გავრცელებული მუსიკალური საკრავებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ყველაზე სრულყოფილ და სანდო წყაროს წარმოადგენს.

ბიბლიის სამეცნიერო კვლევას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მას შეისწავლიან ღვთისმეტყველები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ენათმეცნიერები, ფილოსოფოსები, და სხვ. მათ შორის – მუსიკოლოგები და ორგანოლოგები.

სანამ უშუალოდ ტერმინოლოგიის შესწავლას შევუდგებოდი, გავეცანი ბიბლიის სტრუქტურას, შექმნის ისტორიასა და ქართული თარგმანების სპეციფიკას¹. იგი 39 ძველი და 27 ახალი აღთქმის წიგნისაგან შედგება.

კვლევის დასაწყისიდანვე ყურადღება გავამახვილე სამ ფაქტორზე, რაც ნებისმიერ ენაზე თარგმნილი ბიბლიის საფუძველზე დაყრდნობით ტერმინოლოგიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია:

1. ბიბლია ორმოცზე მეტი ავტორის მიერ საუკუნეების განმავლობაში იწერებოდა, დამწერლობის არსებობამდე კი ზეპირი ტრადიციით გადაეცემოდა თაობიდან თაობას;
2. ქრონოლოგიური სხვაობა ძველი აღთქმის ცალკეულ ნაწილებს შორის მეტად დიდია. ძველი აღთქმის წიგნების მეტი წილი ძველ ებრაულ, მცირე ნაწილი კი არამეულ (იერ. 10:11; დან. 2:4ბ-7:28; გამ. 4:8-6:18; 7:12-26) და ძველ ბერძნულ ენებზე (სიბრძნე სოლომონისი, მეორე მაკაბელთა) დაიწერა. ახალი აღთქმიდან მათეს სახარება არამეულ ენაზეა დაწერილი, ხოლო დანარჩენი წიგნები (მარკოზის, ლუკას, იოანეს სახარებები, სამოციქულო და აპოკალიფსი) – ძველ ბერძნულ ენაზე;
3. ბიბლიის ქართულ თარგმანებს ძველი თაობის მკვლევარნი სამ ძირითად წყაროს უკავშირებენ: სირიულ-ებრაულს, ბერძნულს და სომხურს. ბიბლიის ქართული თარგმანი, სხვადასხვა მიზეზით, საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა და მრავალი ვერსია შეიქმნა. ბიბლიის პირველი ქართული თარგმანები დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პერიოდთან (IV-V ს.), თუმცა ჩვენთვის უცნობია რომელი ენებიდან და ვის მიერ ითარგმნებოდა.

ამდენად, პირველწყაროებში ტექსტების მრავალფეროვნებაა და თარგმანების ზუსტი წყაროებიც, უმეტეს შემთხვევაში, უცნობია. გამოდის, რომ ბიბლიაში მოხსენიებული ტერმინების კვლევისას ქართული ტექსტების უცხოურ წყაროებთან შედარებითი კვლევა, რაც დამკვიდრებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, დიდწილად, ვარაუდებსა და ჰიპოთეზებს ეყრდნობა.

ჩვენამდე სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ენიდან თარგმნილი ცალკეული თავების ხელნაწერები და ოთხი სრული კრებულია მოღწეული:

- 1) **ოშკის ბიბლია** (ხელნაწერი Ath. 1, 978 წ.);
- 2) **გელათის ბიბლია** (A 1108 და Q 1152, XII სს-ისა);
- 3) **მცხეთის ბიბლია** (A 51, XVII-XVIII ს-ის);
- 4) **ბაქარის ბიბლია** (ხელნაწერი A 455 (1743 წლის გამოცემული ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია).

მათგან პირველი ორი მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნებს მოიცავს, ხოლო ბოლო ორი – ახალი აღთქმის წიგნებსაც.

ბიბლიის ხელნაწერების ხელმისაწვდომობის სირთულიდან გამომდინარე, თავად სულხან-საბას, ჯავახიშვილსა და შილაკაძეს მხოლოდ რამდენიმე წყარო ჰქონდათ დამოწმებული (ბაქარის, მცხეთური, ოშკის და სხვ.). გამოცემებისა და ელექტრონული რესურსების წყალობით, რომელიც ათწლეულების განმავლობაში სპეციალისტთა დიდი ჯგუფების მიერ მზადდებოდა, შესაძლებლობა მომეცა მემუშავა ძველი აღთქმის 34 (ცხრ.

¹ საბაზისო ინფორმაცია მისაღებად მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია პროფ. დარეჯან თვალთვალაძის საჯარო ლექციამ „ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები“, რისი მოწოდებისათვისაც მადლობას ვუხდით ქ-ნ თაკო მელიქიძეს.

1ა) და ახალი აღთქმის 40 წყაროზე (ცხრ. 1ბ) (<http://titus.uni-frankfurt.de>, <http://www.bible.ge/> და სხვ.). დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასალების დამუშავებას არაერთი სირთულე ახლდა: წყაროების დაზუსტება, საკლასიფიკაციო ლიტერების სისტემაში გარკვევა, ელექტრონული წყაროების სტრუქტურის აღქმა და სხვ.

მონტეგიუ ბიბლიური საკრავებისადმი მიძღვნილი თავისი ფუნდამენტური წიგნის დასაწყისში სვამს კითხვას: „ჩვენ ვიცით რას ნიშნავს არფა და ორდანი, მაგრამ რას გულისხმობდა მოსე დაბადების 4:21 -ში?“ (Montagu, 2002: 1). იგივე კითხვა, პრაქტიკულად, ყველა საკრავთან მიმართებაში ისმის. მკვლევრის აღნიშვნით, საკრავები და მათი ტერმინოლოგია დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მაგალითისათვის მოჰყავს არფის VI–X (ანგლო-საქსური), XVII, XVIII და XIX ს.-ების ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია. ამის გათვალისწინებით, მას ბუნებრივად მიაჩნია, რომ შესაძლებელია, ბიბლიის სხვადასხვა თავში მოხსენიებული ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვაგვარ საკრავს გულისხმობდეს, რადგან ბიბლიის ერთი ნაწილი მეორისაგან ხანგრძლივი დროითაც კია დაშორებული. საკრავის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი მრავალჯერ მეორდება, ზოგიც – ერთხელ გვხვდება. არის ადგილები, სადაც ლაპარაკია მუსიკალურ საკრავზე, მაგრამ ძნელია გამოიცილო, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება იგი (Montagu, 2002, 1). მკვლევარი ამ სირთულეების ფონზე ცდილობს ნათელი მოჰფინოს ბურუსით მოცულ მრავალ საკითხს. მას სხვადასხვა ენაზე დაწერილი და თარგმნილი ბიბლიიდან მიმდევრობით ამოკრებილი ტერმინოლოგია (ზოგჯერ, ციტატებით) ოთხ სვეტად აქვს წარმოდგენილი და მითითებული აქვს თითოეული თავისა და ქვეთავის ნომრები. ზოგჯერ, გათვალისწინებული აქვს საკრავთა გამოყენების კონტექსტიც. გარდა საკრავების დასახელებისა, ამოკრებილია, ზოგადად, შემსრულებლობასთან, მუზიციერებასთან დაკავშირებული ტერმინებიც. აქ გამოყენებულია მეფე ჯეიმსის (King James) ინგლისური, ლათინური ვულგატას (Vulgate), ბერძნული სეპტუაგინტისა (Septuagint) და ებრაული (Hebrew) წყაროები (სურ. 1).


სურ. 1. ბიბლიაში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების მონტეგიუსეული ცხრილი (Montagu, 2002: 162–170).

King James	Vulgate	Septuagint	Hebrew
Genesis	Genesis	Γενεσις	תשיארב
4:21 harp, organ	cithara, organum	<i>ψαλτήριον, κιθάρα</i>	עוגב, רון
31:27 songs, tabret, harp	cantici, tympanum, cithara	<i>μουσική, τὸμπανον, κιθάρα</i>	רון, ית, ם׳ש
Exodus	Exodus	Εξοδος	תומש
15:20 timbrel, dances	tympanum, chori	<i>τὸμπανον, χοροί</i>	תחמ, ית
19:13 trumpet	buccina	<i>σάλπιγξ</i>	יב
19:16 voice of the trumpet	clangor buccinae	<i>φωνή σάλπιγγος</i>	קש

მონტეგიუსაგან განსხვავებულ მიდგომას ემყარება კოლარისა და შესაბამისად, შილაკადის ცხრილები. კოლარის ნაშრომს თან ერთვის ბიბლიაში ნახსენები საკრავების ებრაული ტერმინების სია (გერმანული ტრანსკრიფციით) ბერძნული (LXX) და ლათინური (Vulgata) შესატყვისებით (Kolari, 1947: 88), სულ, 20 ებრაული, 15 ბერძნული და 15 ლათინური ტერმინი. კოლარის მიერ საკრავების სახელები დაჯგუფებულია ძველი, მაილოუს კლასიფიკაციის პრინციპით (სურ. 2).

სურ. 2. კოლარის მიერ გამოყენებული ტერმინების კლასიფიკაცია (Kolari, 1947: 87).

Klassifikation der alttestamentlichen Musikinstrumente.



როგორც ზემოთ აღვნიშნე, კოლარის ჩამონათვალს შილაკაძემ ქართული ტერმინები მიუსადაგა და პირველმა, თავი მოუყარა ბიბლიის ქართულ თარგმანებში გამოყენებულ საკრავების აღმნიშვნელ ქართულ ტერმინოლოგიას (ცხრ. 2).

ცხრ. 2. ბიბლიაში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების მანანა შილაკაძისეული ცხრილი (შილაკაძე, 2005: 302-303).

			ებრაული	ბერძნული	ლათინური	ქართული	ქართული (ახალი თარგმანი)
I	a.	1	ტოფ	τύμπανον	tympanum	ბობლანი	დოლი, დაფდაფი, დაირა
	b.	1	მენანიმ	κύμβαλα	sistra	საყვირი	დაფდაფი
		2	მეცილთაიმ	κύμβάλα	cymbala	წინწილი, ბობლანი, ებანი	წინწილი, ბობლანი
		3	ცელცელინ	κύμβαλα	cymbala	წინწილი	ბობლანი, წინწილი
		4	მეცილოთ	χάλινός	frenum	–	ცხენთა ზანზალაკები
		5	ვამონიმ	κώδων	tintinnabulum	ეჟვანი	ოქროს ეჟვანი
II	a.	1	ხალილ	αυλός	tibia	მულნი, საყვირი რქისა, ავლი, სტვირი, საყვირი	სტვირი, სალამური
		2	მაშროკითა	σῦριζ	fistula	საყვირი, სასტვინელი	საყვირი
		3	უგავ	ὄργανον, ψαλτήριον	organum	საფსალმუნე, ებანი, ორღანო	სალამური
	b.	1	კერენ	σαλπιζ	tuba	ნესტვი რქისა	ბუკი
		2	იოველ	σαλπιζ	bucina	საყვირი, ნესტვი იობელისა	ბუკი
		3	შოფარ	σαλπιζ, κερατίνη	bucina, tuba		საყვირი

		4	ხაცოცერა	σαπιϋζ	tuba	ნესტვი, ნესტვი ჭედილი, საყვირი	საყვირი
III	a.	1	ნებელ	ναβλα, ψαλτήριον	psalterium	ქნარი, ებანი	ებანი, ქნარი
		2	ნეველ ასორ	ψαλτήριον δεκάχορδον	psalterium, decem chordarum	ათმალის საფსალმუნისაი, ქნარი სამვიკისა	ათსიმიანი ებანი, ათსიმიანი ჩანგი
	b.	1	ქინნორ	κίνυρα, κίθαρα	kithara	ქნარი, საფსალმუნე	მეჩანგე, ებანი, ქნარი
		2	შაბეკა	σαμβύκη	sambuca	საყვირი, სასტვინელი	საყვირი
	c.	1	შალიშ	κύνβαλα	sistra	–	–
	d.	1	კითაროს	κίθαρα	cithara	ქნარი სამვიკისა	სამბუკი
		2	ფესანთერინ (ტრაპეციისებური ციტრა)	ψαλτήριον	psalterium	საფსალმუნე	ქნარი

კოლარისა და შილაკამის მონაცემებში ბუნდოვანია სხვადასხვა ჯგუფის საკრავებში ერთი და იმავე ტერმინის გამოჩენა, რაც დაკავშირებულია სწორედ წყაროებისა და თარგმანების ვარიანტულობასთან. ასევე, ვფიქრობ, ზოგიერთი ტერმინი ცხრილში არ უნდა იყოს (მაგალითად, *ნესტვი იობელისა*, *საყვირი რქისა*). ცხრილის მიხედვით ერთი და იმავე საკრავის აღმნიშვნელი ტერმინი მეორდება საკრავთა სხვადასხვა ჯგუფში და ებრაული საკრავის აღმნიშვნელ სხვადასხვა ტერმინთანაა მისადაგებული. მაგალითად, თუ ებრაულ ბიბლიაში გვაქვს აეროფონების ჯგუფის შვიდი სხვადასხვა ებრაული საკრავი, ქართულ ვერსიაში ამ საკრავთა სახელები ჩასაბერი საკრავების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინებითაა თარგმნილი – *საყვირი* (ოთხჯერ) და *ნესტვი* (სამჯერ); აგრეთვე, ქორდოფონებში დასახელებულ შვიდ ებრაულ საკრავთან ქართული *ქნარი* სამი ტერმინის პარალელურადაა მოტანილი. მაგალითად, რომ ავიღოთ ორი ტერმინი – ჩვენთვის კარგად ნაცნობი და ჯერ კიდევ დაუზუსტებელი, კერძოდ, *საყვირი* და *ებანი*, ორივე მათგანი სამივე ჯგუფის საკრავებშია მოხსენიებული. ცხადია, რომ *საყვირი* არც ერთ დროში ქორდოფონების ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინი არ ყოფილა, თუმცა, როგორც ჩანს, შილაკამის ცხრილში ასეთი შეუსაბამობა დაკავშირებული უნდა იყოს მის მიერ კოლარის ცხრილზე დაყრდნობითა და შესაბამის მუხლებში მოხსენიებული ტერმინების მექანიკური მისადაგებით. ამდენად, ამგვარი პრინციპით აგებული ტერმინთა ცხრილი სრულ სურათს ვერ მოგვცემს.

რაც შეეხება ჩემ მიერ გაანალიზებული 80-მდე წყაროს საფუძველზე შედგენილ ცხრილს, იქიდან გამომდინარე, რომ კოლარისთან შედარებით უფრო სრულყოფილად მონტეგიუს ცხრილი მიმაჩნია, ბიბლიის ქართულ თარგმანებში საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების შესწავლისას მას დავყვრდენი². შევადგინე ცხრილების ორი ვარიანტი, ერთში შესულია სრული ციტატები (ცხრ. 3), ხოლო მეორეში – ტერმინთა ვიზუალურად აღქმადი ბაზა ხელნაწერების მიხედვით (ცხრ. 4-6).

თარგმნილ წყაროებში საკრავთა ტერმინების შედარება სხვადასხვა ენაში რთულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთდროულად რამდენიმე საკრავია მოხსენიებული, რადგან მათი მიმდევრობა და ზოგჯერ – რაოდენობაც, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს

² დაცულია ენების მიმდევრობაც: ინგლისური, ლათინური, ბერძნული და ებრაული.

ერთმანეთს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა ენაზე არსებული წყაროები რომელთაც დღეს ერთმანეთს ვადარებთ, შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ წყაროებისაგან, საიდანაც ამა თუ იმ ენაზე ჩვენს ხელთ არსებული კონკრეტული ვერსიის თარგმნა მოხდა. გამოდის რომ, სამეცნიერო მიმოაქცევაში არსებულ პრაქტიკულად ყველა ცხრილში საკრავთა ჩამონათვალი, სადაც სხვადასხვა ენაზე დაწერილი ბიბლიიდან შესაბამის ენებზე მოხსენიებული ტერმინებია შედარებული, პირობითია.

თარგმნილ ლიტერატურაში მთარგმნელები უცხოურ საკრავებს, როგორც წესი, ადგილობრივ საკრავებსა და მათ აღმნიშვნელ ტერმინებს უსადაგებენ. მაგალითად, ებრაული საკრავი შოფარი, რომელიც ბიბლიაში ძალიან ხშირად გვხვდება, ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ზუსტად ვიცით რომელ საკრავს აღნიშნავს ოდითგან დღემდე. მიუხედავად ამისა, მისი სახელი არც ერთ ენაზე ტრანსკრიფციით არ გადატანილა: ინგლისურში, ლათინურში, ბერძნულსა თუ ქართულში მას მისადაგებული აქვს ზოგადად ჩასაბერი საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები:

1. σαλπυζ κερατίνη (salpinx keratíní; ბერძნ.),
2. buccina, tuba (ლათ.), cornet (ინგლ.),
3. რქა, ნესტვი, საყვირი, სტვირი (ქართ.).

სხვადასხვა საუკუნეში შესრულებული ქართული ხელნაწერების სისტემატიზებამ თვალნათლივ დაგვანახა, თუ როგორ იცვლება ერთსა და იმავე მუხლებში ტერმინები და ჩამოთვლილ საკრავთა რაოდენობა. მაგალითად, ვხედავთ ტერმინი *ქნარი* როგორ ხდება *ებანი* (ცხრ. 4, დაბადება 31:27), როგორ ენაცვლება იან ერთმანეთს ტერმინები *ნესტვ* და *საყვირი* (ცხრ. 4, ლევიტელთა 25:09), რამდენად ერთ კონტექსტშია მოხსენიებული ტერმინები *კურთხევა* და *ებანი* (ცხრ. 4, პირველი მეფეთა 18:10) და სხვ. ტერმინთა ბადე იმასაც გვიჩვენებს, რომ მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების მნიშვნელოვანი განახლება ბაქარის ბიბლიასა (1743 წ., ნაწილობრივ, სლავური ბიბლიის მიხედვით გასწორებული და შევსებული ვერსია) და მცხეთურ ხელნაწერში (XVIII, სულხან-საბას რედაქცია, რედაქტირებულია ბერძნული და სომხური წყაროების მიხედვით) მოხდა.

სხვადასხვა რედაქციაში და საუკუნეების მიხედვით ტერმინთა ცვლილებები, ცხადია, მხოლოდ ბიბლიის ქართული თარგმანებისთვის არ არის დამახასიათებელი. მაგალითად, ფსალმუნთა ინგლისური თარგმანის მნიშვნელოვან რედაქციებში, XVI-დან XIX ს-ის ჩათვლით, იცვლება როგორც ერთი და იმავე ტერმინის მორფოლოგია, ისე მთლიანად დასახელება. მაგალითად, *tröpet* ხდება *Trumpet*, *Harpe* ხდება *Harp*, ან *Lute* ხდება *Viola*, შემდეგ *Psalterie* და ბოლოს, უბრალოდ *ათსიმანი საკრავი* (ცხრ. 7).

ცხრ. 7. ტერმინები ფსალმუნთა ინგლისური თარგმანებიდან

	COVERDALE (1535)	GREAT BIBLE (1539)	GENEVA (1560)	BISHOPS (1560)	AUTHORISED (1611)	REVISED (1885)
33(32):2	harpe, lute and instrument of ten strynges	harpe, lute and instrumēt of ten strynges	harpe, viole & instrument of ten strings	harpe, viall and the instrument of ten strings	harp, Psalterie and an instrument of ten strings	harp, psaltery of ten strings
43(42):4	harpe	harpe	harpe	harpe	harpe	harp
47:5 (46:6)	tröpet	tröpe	trumpet	trumpet	trumpet	trumpet

იმისათვის, რომ ქართველ მთარგმნელთა თარგმანის სტილზე ვილაპარაკოთ, თუ რამდენად სინქრონული ან თავისუფალი იყო მათი მიდგომა, მასალა არ არის საკმარისი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიცით კონკრეტულად რომელი ენიდან ითარგმნა ან რომელი ენის ბიბლიის მიხედვით გასწორდა რომელიმე კონკრეტული რედაქცია, ხელთ არ გვაქვს დედნის ის კონკრეტული ვერსია, რომელსაც მთარგმნელი ეყრდნობოდა.

საბოლოოდ, კვლევის დროს გამოყენებული ყველა ხელნაწერის შეჯამების შედეგად მივიღე შემდეგი ტერმინები და მათი მორფოლოგიური ვერსიები (ცხრ. 8):

ცხრ. 8. ბიბლიის ძველ და ახალ ქართულ თარგმანებში მოხსენიებული საკრავების აღმნიშვნელი ტერმინები:

ძვ. ქართული	ახ. ქართული
იდოფონები:	იდოფონები:
1. ეჟუანი/ეჟუანი	1. ეჟვანი
2. წინწილა/წინწილი/წინწილაჲ	2. ზანზალაკი
3. ლინი	3. წინწილი
მემბრანოფონები:	მემბრანოფონები:
4. ბობლანი/ბრობანი	4. ბობლანი
	5. დაფდაფი
	6. დაირა
ქორდოფონები:	ქორდოფონები:
11. ებანი	14. ებანი
12. ქნარი/ქანარი	15. ქნარი
13. ფანდური	16. ათსიმიანი
14. მულნი	17. ათსიმიანი ებანი
15. ათმალი	18. ფსალმუნი
16. საფსალმუნე/საფსალმონე/ფსალმუნი	19. ჩანგი
17. სამვიკი	20. ათსიმიანი ჩანგი
18. კურთხევა	
19. საგალობელი	
აეროფონები:	აეროფონები:
5. ნესტვ/ნესუტი/ნესუტვ	7. სალამური
6. სასტვნიველი	8. სამბუკი
7. სტვრი/სტური/ფსტვრი/სატვრი	9. სტვირი
8. საყვრი/საყვირი/საყუდრი/საყური	10. საყვირი
9. ავლი	11. რქა
10. რქა (შოფარი)	12. ვერძის რქა
11. ასოსრა	13. ბუკი
ორღანო (ჩასაბერი, სიმებიანი, ან ზოგადად – მუსიკალური საკრავი)	

მოტანილ ცხრილში ტერმინთა გადანაწილება საკრავთა სხვადასხვა ჯგუფში პირობითია. მათი ნაწილი ორმაგი მნიშვნელობით გვხვდება. ტერმინთა კვლევამ გამოავლინა, რომ დღეს ყველაზე ნათელი წარმოდგენა იდიოფონებისა და აეროფონების ჯგუფში შეტანილ საკრავებში გვაქვს, ხოლო ქორდოფონებისა და მემბრანოფონების ჯგუფში შესულ ტერმინთა მნიშვნელობა შედარებით ბუნდოვანია. ტერმინთა იდენტიფიცირებაში გვეხმარება მათი გამოყენების კონტექსტი და სამემსრულებლო ხერხების აღნიშვნაც, რომელიც არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება (ცხრ. 9):

ცხრ. 9. საკრავებზე მემსრულებლობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია:

ბობლანი	ეცით ბობლანსა, ბობლანთა შინა უკრვიდეს;
საყვირი	საყვრთა დაბერვა, დაჰბერედ საყვრსა, საყვრთა ჰბერვიდეს, სცემდეს საყვრსა, ჩაჰბერეს საყვირებს, საყვრ-სცეს საყვირითა, საყვრ-სცეს საყვრებსა, დასცეს საყვირითა, საყვრსა დაეცეს, საყურსა დასცენ;
ნესტვი	დაჰბერით ნესტუებითა, დაჰბეროთ ნესტუთა, დაჰბერეთ ნესტუთა, დაუბეროთ ნესტუთა, ჰბერვიდენ ნესტუთა, დაჰბერეს ნესტუთა, დაუბერო/დაუჰბერო ნესტუსა მას, ჰბერვიდეს ნესტუთა, ჰბერვიდენ ნესტუთა, დაჰბეროდიან ნესტუებითა, ნესტვისა დაბერვა, ნესტუსა დაბერა, ნესტუსა დაბერვად, ნესტუსა დაცემა, დასცეს შვება იგი მათი (ნესტუსა ზედა), სცემდეს ნესტუებსა, სცემდეს ნესტუსა, ჰნესტუვიდენ ნესტუთა, დაჰნესტოთ ნესტუთა, შებერვად ნესტუსად, ნესტუსა მიერ დანესტოს, საცნაურ იქმნეს სტუნავად;
სტვირი	სტვინვიდეს სტვრთა, სტუნვიდეს სტვრითა, გისტუნევდით, სტუნვად, გისტუნევდით, გისუტუნევდით;
ავლი	ავლი ოხრიდეს, ავლმა იოხროს;
რქა (შოფარი)	დავჰნესტუეთ რქისათა, დაჰნესტუეს სამასათა რქისათა, დაჰბერეს რქისათა, იჰყრნეს რქისანი სანესტუავად;
ეზანი	ჰკრვიდა ჯელთა თვსთა ეზანსა, ეზნად;
ქნარი	ქნარის ცემა, ქნარსა სცემდა, ქნარითა ცემად, ქნარი ჯმისად სცემდეს;
ათძალი	სცემდეს ათძალთა მათ.

შესაბამისად, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ტერმინი, რომელიც სხვადასხვა საკრავის ბგერათწარმოებას ასახავს:

1. კრვა – ეზანი (ხელით), ბობლანი;
2. ცემა – ბობლანი, საყვირი, ნესტვი, ქნარი, ათძალი;
3. ბერვა (დაბერვა, შებერვა) – საყვირი, ნესტვი;
4. ნესტვა – ნესტვი;

5. სტვენა – სტვირი;
6. ებნად – ებანი.

სამეცნიერო სტატიის ფორმატში თითოეული ტერმინის ვრცლად მიმოხილვა შეუძლებელია. თითოეულზე მოკლედ შევჩერდები და რამდენიმე ტერმინს შედარებით ვრცლად მიმოვიხილავ.

I. იდიოფონები:

დღევანდელი საგანგებო განსხვავებით, როგორც ძველი წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური არტეფაქტები მეტყველებენ, ქართული ინსტრუმენტარიუმი იდიოფონების ჯგუფის საკრავების საკმაოდ მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბიბლიის ქართულ თარგმანებში იდიოფონების ჯგუფის შემდეგი საკრავები გვხვდება: *ეჟუანი/ეჟუანი*, *წინწილა/წინწილი/წინწილა* და *ლინი*. მათგან, ყველაზე ხშირად *წინწილა* არის მოხსენიებული. ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით აღსანიშნავია რამდენიმე დეტალი: 1. ტერმინი *ლინი* აღარ გამოიყენება და მის ადგილასაც *წინწილა* არის ნახსენები; როგორც ჩანს, დღევანდელ პრაქტიკაში გაქრა როგორც თავად საკრავი, ისე მისი აღმნიშვნელი ტერმინიც; 2. *ეჟუანი/ეჟუანი*-ს თანამედროვე ქართული ფორმა – *ეჟვანია* გამოყენებული და 3. ბიბლიის მხოლოდ ახალ ქართულ თარგმანში გვხვდება ტერმინი *ზანზალაკი ეჟვნების* ნაცვლად.

ტერმინის *ეჟვანი/ეჟუანი/ეჟვანი* შესწავლიდან ჩანს, რომ იგი ორგინალური ქართული ტერმინია და მას საუკუნეების განმავლობაში არ შეუცვლია მნიშვნელობა და ფუნქცია. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში *ეჟვანის* ვრცელი განმარტებაა: „საქდარუნო პატარა ზარაკი, რომელიც შეებმებოდა დროშებსა და აღმებს, სარიტუალო თუ სატრანსპორტო ეტლებს, საქონელს. ხმარობდნენ სხვადასხვა ტიპის ეჟვნებს, რომელთაგან გამოირჩევა მრგვალი უნო ეჟვანი, მას შიგნით რკინის ბურთულა აქვს მოთავსებული და პატარა შერხევაზეც კი ხმას გამოსცემს“ (ნადირაძე, 2013: 138). ბიბლიაში მას შემდეგი უცხოენოვანი ტერმინები შეესაბამება: 1. *bell* (ინგ.), 2. *tintinnabulum* (ტინტინაბულუმი, ლათ.), 3. *κώδων* (*kódon*/კოდონი, ბერძნ.) და 4. *paamon* (ფაამონი, ებრ.).

წინწილა/წინწილი/წინწილა ქართული იდიოფონის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ტერმინია. იგი ხშირად გვხვდება როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ წყაროებში. იგი ბიბლიის ქართული თარგმანის 23 მუხლშია წარმოდგენილი (მათგან, ორჯერ – ახალ აღთქმაში). თითქმის ყველგან სამ და მეტ საკრავთან ერთად არის მოხსენიებული, სამჯერ გვხვდება დამოუკიდებლად (I ნეშტა 15:16, ფსალმ., 150:04 და პირველი კორინთელთა 13:01) და ერთხელ – მხოლოდ *ებანთან* (მესამე მეფეთა 10:12). უცხოენოვან ციტატებში *წინწილებს*, ძირითადად, *ციმბალები* შეესაბამებიან: *cymbals* (ინგლ.), *cymbalis* (ლათ.), *κύμβαλα/kýmvala* (ბერძნ.), *metsiltaim/tseltselim* (ებრ.).

ტერმინი *წინწილა* ქართულში უცხო ენიდან უნდა იყოს შემოსული. ჩიჯავაძეს იგი სომხურ სიტყვად მიაჩნდა, რადგან, ჯავახიშვილის მიხედვით, ბიბლიის სომხურ თარგმანში საკრავის სახელად *წწლა* გვხვდება (ჯავახიშვილი, 1938: 207; ჩიჯავაძე, 2009: 34). როგორც გვიანი კვლევები ადასტურებენ, ციმბალების არამეული სახელწოდებაა *tseltselin*, რაც ნიშნავს რეკვას (Jeremy, 2002: 51). ჩემი აზრით, ეს ტერმინი არამეული ენიდან გავრცელდა როგორც ქართულში, ისე – სომხურში.

ჯავახიშვილი საკრავს იდიოფონების ჯგუფს მიაკუთვნებდა: „წ ი ნ წ ი ლ ი ლითონის თეფში იყო, რომელსაც მეორე ამნაირსავე თეფშის დაკვრით აახმაურებდენ ხოლმე“ (ჯავახიშვილი, 1938: 207). საკრავის მასალის (რვალი) შესახებ ინფორმაციას თავად წყაროში ვხვდებით (I ნემტა 15:19), რაც ციმბალეებთან მის კავშირს კიდევ უფრო ამყარებს. ქართულ რეალობაში ამ ტიპის საკრავის არსებობას ადასტურებს არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნი არა ერთი არტეფაქტიც. საკრავს იდიოფონების ჯგუფში განიხილავს ჩიჯავაძე (ჩიჯავაძე, 2009: 34-35).

მოგვიანებით, გამოჩენილი ქართველი ორღანისტი ეთერ მგალობლიშვილი განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს სულხან-საბასეულ ტერმინ *წინწილა*-ს, რომელსაც იგი წიგნში „მოგზაურობა ევროპაში“ ერთ-ერთი ევროპული საკრავის აღწერის კონტექსტში იხსენიებს (ორბელიანი, 1940: 72-73). მან პირველმა დაასაბუთა, რომ XVIII ს-ის საქართველოში წინწილა სიმებიანი საკრავის აღმნიშვნელიც არის და საკრავი, რომელსაც სულხან-საბა წინწილას ადარებს – ჩემბალა (*cembalo*³, მგალობლიშვილი, 2015: 239). მკვლევარი აქვე იმოწმებს არაყიშვილის ციტატას, რომლის მიხედვითაც *წინწილა* სიმებიანი საკრავის, *სანთურის* სინონიმია და *კითარას* ჰგავს (იხ., მგალობლიშვილი, 2015: 240). ტერმინი *წინწილი*, როგორც სიმებიანი საკრავის აღმნიშვნელი, *ებანთან* ერთად გვხვდება XVII ს-ის წყაროში მესამე მეფეთას 10:12-ში (ხელნაწერი B: ბაქარის ბიბლია). აქ *წინწილა* და *ებანი* რომ სიმებიანი საკრავებია, შესატყვის უცხოენოვან წყაროებში ჩანს: *harp, psaltery* (ინგლ.); *cithara, lyra* (ლათ.); *nabla, kinura* (ბრძნ.); *kinnor, nevel* (ებრ.)⁴. არა მხოლოდ XVII საუკუნეში – *წინწილი* „ვეფხისტყაოსანსა“ (XII ს.) და „აბდულმესიანშიც“ (XIII ს.), ასევე, „მაჰნავაზიანში“ ებანთან ერთად არის მოხსენიებული (ციტ.: ჯავახიშვილი, 1938: 208), თუმცა საკრავ *ებანის* რაობა ცალკე კვლევის საგანია და ქვემოთ შევხებით.

ტერმინი *ლინი* ბიბლიის ქართულ თარგმანებში ერთადერთ ადგილას გვხვდება (მეორე მეფეთა 6:5⁵). იგი მოხსენიებულია FSOJa ხელნაწერებში, რომლებიც X-დან XVIII ს.-მდე პერიოდებს მოიცავს, თუმცა არ გვხვდება B (ბაქარის ბიბლია, XVII ს.) ხელნაწერში. იგი არ გვხვდება არც თანამედროვე ქართულ თარგმანში, არამედ, მის ადგილას მოხსენიებულია *წინწილა*. მას ინგლისურ, ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ თარგმანებში შემდეგი ტერმინები ესადაგებიან: *კორნეტი, სისტრუმი, აულოსი, მენაანიმი* (*cornet, sistrum, αἰλός, צִנֹּר*). *ლინი წინწილას* სინონიმია და ქართული ლექსიკონის იმდენად ნაცნობია, რომ რვალის განსამარტად ლექსიკოგრაფი ქართულ ტერმინებთან, *ზართან* და *ეჟვანთან* ერთად სწორედ *ლინს* იყენებს⁶.

³ კლავესინის გერმანული სახელწოდება (ნ.რ.).

⁴ სხვა ქართულ ხელნაწერებში – O, Ja, F, S, ახ. ქართ. – იმავე ადგილას წერია ნესტუ.

⁵ „და დავით და ყოველი ერი ისრაჴლისა იმდერდეს წინაშე კიდობანსა ღმრთისა ნესტუთა და ქნართა, ბობღნითა და ლინითა და პირად-პირადითა სახიობითა“. წყარო:

http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/2mepeta/2mepeta-6.htm (14.07.2016)

⁶ სულხან-საბა ორბელიანი მას ლექსიკონში რამდენჯერმე იხსენიებს: 1. „*ლინი* რვალი(ს) საჩხარუნებელი დიდი ZA. რვალი(ს) საჩხარუნებელი BC. მათეს თავის თარგმანი: „მეორღანოეთა, მენესტუეთა ქნართა და ლინითა მეტყველთა პირად-პირადითა სილოდითა მემდერთა“ E. ნ. პარი, წინწილა“ (ორბელიანი, 1966: 414); 2. „წინწილა ლინი, პარი“ (ორბელიანი, 1966: 379); 3. „*რვალი* (I კორინთ. 13, 1) ესე არს სპილენძთა და კალათა შერევენ და მას შთამოასხმენ სარეკელ ზარად, *ლინად* (ხაზგასმა ჩემია, ნ.რ.) და ეჟვანად ოხრისა და ჯმა-ჟღერისათვის, ვიეთთა ნაცვ(ა)ლად სპილენძთასა აღუწერიათ, გასწორება სჯობს ZA“ (ორბელიანი, 1993: 9).

ქართული *ლინის* მსგავსად, ებრაული *მენანში*, ასევე, ერთადერთხელ არის ნახსენები ბიბლიის ებრაულ წყაროში, დანარჩენი სამი ტერმინი კი – *კორნეტი*, *სისტრუმი* და *აულოსი* ტექსტში მრავალჯერ გვხვდება. ქართული და ებრაული წყაროების მსგავსება, შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ეს კონკრეტული მუხლი ებრაულიდან არის ნათარგმნი, ასევე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი მთარგმნელისთვის ტერმინი *მენანში* მნიშვნელობა ცნობილი იყო. მონტეგიუ აღნიშნავს, რომ ფუძე, რისგანაც ეს ებრაული სიტყვა წარმოიშვა, ნიშნავს კანკალს, ვიბრირებას, შენჯღრევას. იგი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია, იდიოფონების ერთ-ერთ ვარიანტთან გვექონდეს საქმე. მას უსარგებლოდ მიაჩნია არამეული თარგმანი, რადგან იგივე სიტყვა თარგმანში გამოტოვებულია და მის ნაცვლად გვხვდება გამოტოვებული ადგილი, ბერძნულ თარგმანში კი მას *ციმბალები*, *აულოი* ან *პიპეს* ანაცვლებს. მკვლევარს, ასევე, წარმოუდგენლად მიაჩნია ტერმინის ლათინური თარგმანის (*sistrum*) სისწორე, ინგლისურ *cornet*-თან დაკავშირებით კი აღნიშნავს, რომ ამ სიტყვით ყველგან მხოლოდ საკრავი *შოფარია* ნათარგმნი. საბოლოოდ, იგი ასკვნის, რომ *მენანში* შესაბამება საჟღარუნებლების რომელიმე სახეობას, რომელიც შესაძლოა დამახასიათებელი იყოს მრავალი კულტურისათვის. იგი იმოწმებს ბათია ბაიერს (Bathja Bayer) რომელსაც ეს ტერმინი თიხის ჭურჭლის მქონე საჩხარუნებლად მიაჩნია (Montagu, 2002: 54). ასევეა ქართულშიც – *cornet*, *sistrum*, *aulos* სხვა მუხლებში არ არის ნათარგმნი როგორც *ლინი*.

II. მემბრანოფონები:

ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში მემბრანოფონების ჯგუფის საკრავის აღმნიშვნელად ქართული ტერმინი – *ბობლანი* შეგვიძლია მოვიაზროთ, თუმცა, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ იგი შესაძლებელია სიმებიან საკრავსაც აღნიშნავდეს (ფირცხალავა, 2010: 533). ტერმინი *ბობლანი* ბიბლიის ქართული თარგმანების 27 მუხლის სხვადასხვა პერიოდის ქართულ თარგმანში გვხვდება.

ბიბლიის უცხოენოვანი (ინგლ., ლათ., ბერძ., ებრ.) წყაროების ქართულ თარგმანებთან შედარებამ დაგვანახა, რომ ტერმინ *ბობლანი* თან დაკავშირებით სურათი ერთგვაროვანი არ არის. ბიბლიის ქართულ თარგმანებში იგი გამოყენებულია დასარტყამი საკრავის აღმნიშვნელი ტერმინის ქართულ შესატყვისად, მათ შორის, ისეთ მუხლებში, სადაც უცხოენოვან წყაროში მხოლოდ ერთი დასახელების – დასარტყამი საკრავია მოხსენიებული (მაგ., მსაჯულნი 11:34, S ხელნაწერი). იგივე შეიძლება ითქვას *ბობლანზე*, როგორც სიმებიან საკრავზე. მაგალითად, ფსალ. 43(42):4-ის GHLS ხელნაწერებში უცხოურ წყაროებში თითო სიმებიანი მუსიკალური საკრავია დასახელებული, ქართულში კი – *ბობლანი* გვხვდება: „და შევიდე მე წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა, ღმრთისა მიმართ, რომელმან ახარა სიჭაბუკესა ჩემსა; აღვიარო შენ ბობლნითა, ღმერთო, ღმერთო ჩემო!“ (ცხრ. 3).

არც თუ იშვიათად, სიმებიანი საკრავის აღმნიშვნელი ტერმინებიც ქართულში ნათარგმნია როგორც *ბობლანი* (მაგ., პირველი ნემტას 15:21-სა და 25:03-სა და პირველი ნემტას 25:03-ში). B ხელნაწერის პირველი და მეორე ნემტაიდან ჩანს, თუ როგორ ხდება ტერმინების *ებანი* და *ქნარი* – ჩანაცვლება ტერმინ *ბობლანით*. ეს არის მე-17 საუკუნის ბაქარის ბიბლია და შესაძლებელია, გვეფიქრა, რომ ამ პერიოდისათვის მოხდა ტერმინთა აღრევა, მაგრამ სიმებიანი საკრავების თარგმანად *ბობლანი* ძველ ხელნაწერებშიც შეგვხვდა.

როგორც აღმოჩნდა, ტერმინი *ბობლანი* გამოყენებულია როგორც ყველაზე ძველ (IX), ისე ყველაზე გვიანდელ (XVIII ს.) ქართულ ხელნაწერებში. იგი, უმეტესად, მოხსენიებულია დასარტყამი საკრავის, იშვიათად – სიმებიანი საკრავების აღმნიშვნელად. გვხვდება, ასევე, მისი ჩანაცვლება ტერმინ *ებანი*.

გარდა ბიბლიისა, ტერმინი *ბობლანი*, როგორც სიმებიანი საკრავის აღმნიშვნელი ტერმინი, გვხვდება იოანე პეტრიწის „ბუნებისათვის კაცისა“-ში, რასაც მკვლევარმა ნინო ფირცხალავამ მიაქცია ყურადღება (ფირცხალავა, 2010: 533): „ვინაჲ უკუჭ ენასა და ჯორჯსა ძალთ-საცემელისა უპყრიეს ადგილი, ხოლო ზედასა კერძოსა სასისასა – ჯმისაჲ; ხოლო კბილნი და რაულადცა აღებაჲ პირისაჲ – ვითარ რაჲ ბობლანსა-შორის სამუსიკოსაა ძალნი, ეგრეთვე ესე კამყოფელ და აღმომავსებელ ადგილსა მათსა თანაშეწევნად უკუჭ და ცხვრთაცა კეთილქმიანობისა-მიმართ, გინათუ ავქმიანობისა, ვითარ საუწყო არს მგალობელთა-გან“ (პეტრიწი, 1914: 93).

ბიბლიის წყაროების შესწავლის საფუძველზე მართებულად მიმაჩნია *ბობლანის* ორბელიანისა და ჩუბინაშვილისეული განმარტებაც, როგორც დასარტყამი საკრავისა, ვინაიდან ბიბლიის ქართულ თარგმანებში მემბრანოფონის აღმნიშვნელი სხვა ტერმინი არ გვხვდება. ამ ტერმინის მაგალითი ნათლად ადასტურებს, რომ უცხოურ და ქართულ თარგმანებში ტერმინებს შორის პარალელის ავტომატურად, ანალიზის გარეშე გავლება არასწორ დასკვნებს მოგვცემს. თუ დავუკვირდებით უცხოური თარგმანების ისეთ მუხლებს, სადაც ოთხივე თარგმანში მხოლოდ თითო – როგორც დასარტყამი, ისე – სიმებიანი საკრავია მოხსენიებული, ორივე შემთხვევაში ქართულ თარგმანში ტერმინი *ბობლანია* გამოყენებული. შესაბამისად, ტერმინი *ბობლანი* გამოიყენებოდა როგორც დასარტყამი, ისე სიმებიანი საკრავის აღმნიშვნელ ტერმინად, რასაც პეტრიწის თარგმანიც ადასტურებს.

გარდა ამისა, შინამრეწველობის მასალებში დამოწმებულია 84 წლის კონსტანტინე ნატრიაშვილის ცნობა, რის მიხედვითაც *ბობლანს* დიდ საყვირს ეძახდნენ: „ბობლანს საყვირს ეძახოდენ დიდს, მაგრამ მე არ მინახავს“ (ჯავახიშვილი, 1992: 351). ცხადია, ამ ერთ ცნობაზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება რთულია, თუმცა ამ ცნობის უგულვებელყოფაც არ იქნება სწორი.

III. ქორდოფონები:

ბიბლიის ქართულ თარგმანებში სიმებიანი საკრავების აღმნიშვნელი შემდეგი ტერმინებია ნახსენები: *ქნარი/ქანარი*, *ებანი*, *ათძალი*, *ფანდური*, *საფსალმუნე/საფსალმონე/ფსალმუნი*, *მულნი*, *სამვიკი*. ასევე, სიმებიანი საკრავების კონტექსტში გვხვდება ტერმინები *კურთხევა* და *საგალობელი*.

ტერმინი *ქნარი* პირველად V ს-ის მეგლში, „შუმანიკის წამებაში“ გვხვდება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვინაიდან კონტექსტიდან გამომდინარე ლაპარაკია ფსალმუნებზე, შესაძლებელია სასულიერო ტერმინოლოგიის გავლენით იყოს ნახსენები. თავად ტერმინიც ტრანსკრიფციის გზით არის შემოსული და დაკავშირებულია ებრაულ *ქინორ*-თან და ბერძნულ კინურა-სთან (ჯავახიშვილი, 1938: 138). რაც შეეხება ტერმინის წარმომავლობას, რაჩია აჭარიანს⁷ სომხურიდან შეთვისებულად მიაჩნდა (ციტ. ჯავახიშვილი, 1938: 138), თუმცა ჯავახიშვილის აღნიშვნით, თუ ტერმინის პირველწყარო *ქანარი* იქნება, მაშინ ფესვები ასურულს ან არაბულს ესადაგება და

⁷ სომეხი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე. წყარო: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=19731> (26.02.2021)

სომხურიდან შეთვისებულად ვერ ჩაითვლება (ჯავახიშვილი, 1938: 138). გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ტერმინი *ქნარი* მოგვიანო პერიოდის ხელნაწერებში გვხვდება, ხოლო ტერმინი *ქნარი* ჯერ კიდევ V ს-ის ძეგლში.

ტერმინი *ქნარი* გვხვდება მრავალ წყაროში, მათ შორის: „კლარჯულ მრავალთავში“ (X ს.), წმ. ნინოს ცხოვრების ორ ნაკლებად ცნობილ რედაქციაში (XII ს.), „აბდულმესიანში“ (XIII ს.), „თამარიანში“ (XIII ს.). ყველა შემთხვევაში, სადაც *ქნარია* ნახსენები – არ გვხვდება *ჩანგი*, მაგრამ გვხვდება *ებანი*. ზემოაღნიშნული წყაროების მნიშვნელობას ისიც განსაზღვრავს, რომ ლაპარაკია ორიგინალურ ლიტერატურაზე, ანუ იმ პერიოდისათვის საკრავი სახელად *ქნარი* ყოფაში რეალურად არსებული საკრავია.

რაც შეეხება ბიბლიის თარგმანებს, ჩემ მიერ შედგენილ ბაზაზე დაკვირვებით ნათლად ჩანს, რომ ტერმინი *ქნარი* ძალიან ხშირად გამოიყენება, განსაკუთრებით, ძველ რედაქციებში. გვიანდელ რედაქციებში მას ზოგჯერ ენაცვლება ტერმინი *ებანი*. აქ ტერმინი *ქნარი* გვხვდება ორი მორფოლოგიური ვარიანტით, *ქნარი* და *ქნარი* (პირველი მეფეთა 10:05, მცხეთური ხელნაწერი).

მუსიკალური საკრავის აღმნიშვნელი ტერმინი *ებანი* ერთ-ერთი ძველი ქართული ტერმინია, რომელიც როგორც ორიგინალურ ქართულ, ისე თარგმნილ წყაროებში ფართოდ არის გამოყენებული. ხშირად ვხვდებით საეკლესიო ტექსტებში. ამის მიუხედავად, მისი რაობის შესახებ დისკუსია აქტუალობას დღემდე არ კარგავს. ეს ტერმინი არა ერთი მეცნიერის კვლევის საგანი ყოფილა (ჯავახიშვილი, 1938; ჩხიკვაძე, 1973; შილაკაძე, 2007; ფირცხალავა, 2014 და სხვ.). მკვლევართა სრული უმრავლესობა *ებანს* განიხილავს სიმებიან საკრავად და სულხან-საბასეული განმარტება, რის მიხედვითაც იგი მემბრანოფონების ჯგუფს მიეკუთვნება⁸, შეცდომად მიაჩნიათ (ჯავახიშვილი, 1938: 211; ჩხიკვაძე, 1973: 15). სულხან-საბასეული განმარტება ტექნიკური შეცდომა რომ არ არის იმითაც დასტურდება, რომ *ებანი* დასარტყამ საკრავად აქვს მოხსენიებული არა მხოლოდ თავად ტერმინის განმარტებაში, არამედ მის უცხოურ შესატყვისშიც („ლ. ტინბანე B. თ. დაირა ZAaBC, დაფი ZAa“ (ორბელიანი, 1993: 503), ასევე, მოხსენიებულია სხვადასხვა დასარტყამი საკრავის განმარტებებში (*სამვიკი, ტინბანი*, ცხრ. 10).

ბიბლიის ქართული თარგმანების წყაროების შესწავლამ მიჩვენა, რომ ტერმინი *ებანი* გვხვდება ჯერ კიდევ IX ს-ის ხელნაწერში (L – S 104) ფსალმუნების ნაწილში (ცხრ. 3). იგი ხშირად არის გამოყენებული უცხოური სიმებიანი საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების (*არფა, ქინორი, ციტარა, კითარა, ფსალტერიონი* და სხვ., ცხრ. 3) თარგმანში. ხშირად არის გამოყენებული *ქნართან* ერთად, როგორც ერთსა და იმავე ციტატაში (მაგ., დაბადება, 4:21 – P [XI-XII ს.] ხელნაწერში), ისე ერთი და იმავე ციტატის სხვადასხვა პერიოდის თარგმანში (მაგ., დაბადება, 31:27 მუხლის OAKS ხელნაწერებშია *ქნარი*, ხოლო B ხელნაწერში – *ებანი*; ცხრ. 3).

ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია ტერმინი *ებანი ქნარის* სინონიმი ყოფილიყო გარკვეულ პერიოდში და ასკვნის, რომ სულხან-საბასეულის ამ ტერმინის მნიშვნელობა გაუგებარი ყოფილა (ჯავახიშვილი, 1938: 135). ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ, ვინაიდან სულხან-საბა თავად გახლდათ ბიბლიის ერთ-ერთი რედაქციის ავტორი (S – მცხეთური ბიბლია), რომელშიც ტერმინი *ებანი* გამოყენებულია ისეთ

⁸ „(+ 150, 3 ფსალმ. ZA) დაფი ZABC. დაირა D. დაირა. ებანიც ტყავისაგან არს E“ (ორბელიანი, 1991: 229).

მუხლებში, სადაც უცხოენოვან წყაროში მხოლოდ სიმებიანი საკრავები გვხვდება (დაბადება 4:21, ცხრ. 3). მეორე მხრივ, ფსალ. 68:25 (67:26)-ში შესაძლებლად მიმაჩნია *ებანი*, როგორც დასარტყამი საკრავი წარმოვიდგინოთ, ვინაიდან იგი ციტატაში გამოყენებული ერთადერთი საკრავია და მის უცხოურ შესატყვისებში მხოლოდ დასარტყამი საკრავები ფიგურირებს (GHLS⁹ რედაქციები, ცხრ. 3). ამრიგად, შესაძლებელია, სულხან-საბას თანამედროვეობაში ტერმინი *ებანი* სიმებიან საკრავსაც აღნიშნავდა და დასარტყამსაც.

ჯავახიშვილის მიხედვით ქართული ძაღებიანი საკრავების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები *ორძალი*, *სამძალი*, *ოთხძალი*, *ხუთძალი* და *ათძალი*. იგი აღნიშნავდა, რომ ქართულში მიღებულია ძალთა რაოდენობის მიხედვით საკრავთა სახელდება, თუმცა, მათ მხოლოდ სიმების რაოდენობა არ განასხვავებდათ (ჯავახიშვილი, 1938: 103).

სულხან-საბა ტერმინ ათძალის წყაროდ მხოლოდ ფსალმუნს გვისახელებს: „(+91,4 ფსალმ. ZAB). ათალყა ZABCab“ (ორბელიანი, 1938: 42). საინტერესოა, რომ ფსალმუნების ქართულ თარგმანებში გამოყენებული ტერმინი *ათძალი* უცხოენოვან წყაროშიც ათსიმებიან საკრავად არის მოხსენიებული (ფსალმ. 33(32):2, 92:3(91:4), 144(143):9): ინგლისურში – instrument of ten strings, ლათინურში – (decem chordarum), ებრაულში – nevel 'asor (*ნეველი* ათი სიმით). როგორც ჩანს, საკრავთა სახელდებისას მათი სიმების რაოდენობის აღნიშვნა მხოლოდ ქართულისთვის დამახასიათებელი არ არის. საერო ლიტერატურაში ტერმინი უმეტესწილად სასულიერო თემატიკის კონტექსტშია გამოყენებული, რაც მაფიქრებინებს, რომ იგი პირდაპირი თარგმანით შემოსული ტერმინია და არა საქართველოში დამკვიდრებული ათსიმებიანი საკრავის აღმნიშვნელი ტერმინი, განსხვავებით *ორძალისა* და *სამძალისაგან*.

დღეისათვის, ქართულ ინსტრუმენტარიაში ტერმინი *ფანდური* ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლუთის ტიპის ორ- და სამსიმებიანი საკრავის აღმნიშვნელად გამოიყენება. *ფანდური*, ტრადიციულად, აღმოსავლეთ ქართული საკრავია, თუმცა დღეს, მთელს საქართველოშია გავრცელებული. მიუხედავად იმისა, რომ საკრავი ძალიან პოპულარულია, მისი აღმნიშვნელი ტერმინი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში იშვიათად გვხვდება.

მცირე აზიიდან საბრძნეთსა და სხვა ხალხებში გავრცელებულად ითვლება ტერმინი *ფანდური-ტანბური-კანდური* (შილაკაძე, 1970: 35). ამ ტერმინის სხვადასხვა ვარიანტი გვხვდება მსგავსი ლუთის ტიპის საკრავებში მთელ მსოფლიოში: ინდოეთში, უზბეკეთში, თურქეთში, ირანში, ეგვიპტეში, არაბეთში, სომხეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, სერბეთში და სხვ. (შილაკაძე, 1970: 34).

დღემდე, ერთადერთ და ყველაზე ძველ ქართულ წერილობით წყაროდ, რომელშიც ტერმინი *ფანდურია* მოხსენიებული, ითვლება *იპოლიტეძ*-ს ქართული თარგმანი: „მსგავსად ქნარისა ვიეთმე აღრთულ, რომელთა აქუს უღელი, ვითარცა საფანდურებელი“. ესაა X ს-ის ძეგლის ნიკო მარისეული წყარო, რომელიც მუსიკალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯავახიშვილმა შემოიტანა (ჯავახიშვილი, 1938: 150-151). ტერმინ *ფანდურისათვის* ქრონოლოგიურად მეორე ცნობილ წყაროდ მიჩნეულია სულხან-საბას ლექსიკონი. უშუალოდ ტერმინი *ფანდური* მას განმარტების გარეშე აქვს

⁹ სხვადასხვა ხელნაწერის აღმნიშვნელი ლიტერი (ნ.რ.).

დატოვებული (ორბელიანი, 1993: 182), თუმცა მოხსენიებული აქვს ტერმინი *თამაშობა*-ს განმარტებისას (ობელიანი, 1991: 298).

ქართული ორიგინალური და ნათარგმნი წყაროების შესწავლისას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო აღმოჩნდა, სადაც სხვა საკრავებთან ერთად ტერმინი *ფანდურიც* არის მოხსენიებული. კერძოდ, X ს-ის ძეგლში *კლარჯული მრავალთავი* ვკითხულობთ: „დღესა კვრიაკესა განვედ, მუნ იხილო რომელნიმე **ფანდურებითა**, რომელნიმე **ეზნითა** და **ბობლნითა**, რომელნიმე **სტურითა** და **ტყუელვითა** და **ძნობითა**, და რომელნიმე **სხენედ** და **უსტჯნვედ** მსგავსთა მათთჳს საქმედ ბოროტისა“ (მგალობლიშვილი, 1991: 282). ამდენად, *კლარჯული მრავალთავი* ქრონოლოგიურად X ს-ის მეორე წყაროა.

ტერმინი *ფანდური* მოხსენიებულია ბიბლიის ქართულ თარგმანებში (პირველი ნეშტა, 15:16, კერძოდ, D, F, I და S ხელნაწერებში, ცხრ. 3), რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არ აღნიშნულა. წყაროები მიეკუთვნებიან XV-XVIII ს-ის პერიოდს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იშვიათად, მაგრამ საკრავის აღმნიშვნელი ტერმინის კონტექსტშია გამოყენებული შემდეგი ტერმინები: *საგალობელი* (პირველი ნეშტა 13:8, 15:16, მეორე ნეშტა 5:13, 9:11, იობი 21:12, ფს. 81:02/80:03; ცხრ. 3), *კურთხევა* (ფს. 33(32):2, 57:08/56/09, 71:22/70:22, 98:05/97:5, 98:6/97:6; ცხრ. 3), *ფსალმუნნი/საფსალმუნნი* (პირველი ნეშტა 13:8, ფს. 33(32):2; ცხრ. 3) და სხვ. აქვე მოვიტან ცხრილს ცალკეულ ტერმინზე თითო მაგალითით (ცხრ. 11):

ცხრ. 11. ტერმინები *საგალობელი*, *კურთხევა*, *საფსალმუნნი* – ციტატები შესაბამისი მუხლებიდან.

წყარო:	ციტატა:	უცხოენოვან წყაროებში:
საგალობელი: პირველი ნეშტა 15:16	DFI – და ჰრქუა დავით მთავართა მათ და ლევიტელთა: დაადგინენით ძმანი თქუენნი მგალობელნი სტურითა (ფსტურითა F) და საგალობელითა, ნესტუთა და ფანდურითა (ფანდურითა ნესტუთა ID) და წინწილითა, ჳმითა მალლითა და ჳმითა სიხარულისათა. S – და ჰრქუა დავით მთავართა მათ და ლევიტელთა: დაადგინენით ძმანი თქუენნი მგალობელნი <i>ფსალმუნითა</i> , <i>სტურითა</i> და <i>საგალობელითა</i> , <i>ნესტუთა</i> , და <i>ფანდურითა</i> , და <i>წინწილითა</i> , ჳმითა მალლითა და ჳმითა სიხარულისათა. B – და ჰრქუა დავით წინამძღუართა ლევიტელთა: დაადგინეთ ძმათა თჳსთა მგალობელად ორღანოთა შინა გალობათა მუსიკათათა, <i>ფსალმუნითა</i> , <i>ეზნითა</i> შინა და <i>ბობლნითა</i> , რადთა უჳმობდენ მალალთა შინა ჳმითა დიდითა.	<ul style="list-style-type: none"> • instruments of musick, psalteries, harps, cymbals (ingl.), • organis musicorum nablis, lyris, cymbalis (laT.), • ναβλα (nabla), κίνυρα (kinura), κύμβαλα (kýmvala) (berZn.), • klei-shir (musical instruments) nevel, kinnor, m'tsiltayim (ebr.)
კურთხევა: ფს. 98:6 (97:6)	ABCDEF, #2058-2 – ჳმითა კურთხევისათა, ნესტუთა (ნესტუთა #2058-2) ჳედილითა, კურთხევითა და ჳმითა ნესტუსა რქისათა (წ) ლაღადებდით წინაშე მეუფისა უფლისა. (თ) GHLS – ნესტუთა ჳედილითა და ჳმითა ნესტუსა რქისათა ლაღადებდით წინაშე მეუფისა უფლისა.	<ul style="list-style-type: none"> • trumpets, cornet (ingl.), • tubis, tubæ (laT.), • σαλπυξ (salpinx), κερατίνη (keratini) (berZn.), • hatsots'rah, shofar (ebr.)
ფსალმუნნი: პირველი ნეშტა 13:8	FJS – და დავით და ყოველი ისრაელი იმღერდა წინაშე ღმთისა ყოვლითა ძალითა, გალობითა და <i>ქნარითა</i> , <i>ეზნითა</i> , <i>ბობლნითა</i> და <i>წინწილითა</i> და <i>ნესტუთა</i> . B – ხოლო დავით და ყოველნი ისრაელნი იმღერდეს	<ul style="list-style-type: none"> • harps, psalteries, timbrels, cymbals, trumpets • citharis, psalteriis, tympanis, cymbalis, tubis

	წინაშე ღმრთისაჲ ყოვლითა ძალითა და გალობითა და ებნითა და ფსალმუნითა და ბობლნითა და წინწილითა და საყვრითა.	<ul style="list-style-type: none"> • κίνυρα (kinura), ναβλα (nabla), τύμπανον (týmpanon), κτύμβαλα (kýmvala), σαλπινξ (salpinx)⁴ • kinnor, nevel, tof, m'tsiltayim
--	--	---

ტერმინი *საფსალმუნე* მხოლოდ სასულიერო ლიტერატურაში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ იგი ბიბლიის IX-XVI სს-ების ქართულ თარგმანებში მხოლოდ ფსალმუნებშია, ხოლო გელათის ბიბლიაში (XII-XIII ს.) – ფსალმუნებსა და ებეკიელის წინასწარმეტყველებაშიც (26:13). XVII-XVIII ს-ის ხელნაწერებში იგი აქტიურად გამოიყენება (ცხრ. 3). პირველად იგი გვხვდება დაბადებაში (4:21). ამავე ადგილას, ძველ, პარიზის ლექციონარში ებანი და ქნარია, ხოლო XVII-XVIII ს-ის ყველა ხელნაწერში – საფსალმუნე და ებანი. უცხოურ წყაროებში სხვადასხვა ტერმინის კომბინაციაა (ცხრ. 12):

ცხრ. 12. ტერმინი *საფსალმუნე* ინგლისურ, ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ წყაროებში.

ინგლისური	ლათინური	ბერძნული	ებრაული
Harp, organ	Cithara, organum (organo)	Ψαλτήριον (psaltérion), κίθαρα (kithāra)	Kinnor, 'ugav

ებანი/ქნარისა თუ *საფსალმუნე/ებანის* კომბინაციებში ქართულში სიმებიანი საკრავები იგულისხმება, რაც ემთხვევა ბერძნულ წყაროს. როგორც ჩანს, XVII-XVIII ს.-ებში ძველი თარგმანები უცხოურ წყაროებთან მიმართებაში გასწორდა და *საფსალმუნე* (იგივე *ფსალტერიონი/ ψαλτήριον/psaltérion*) ტრანსკრიფციის ფორმით შემოვიდა და დამკვიდრდა.

საკრავის აღმნიშვნელი ტერმინი *მულნი* ბიბლიის ქართული თარგმანებიდან მხოლოდ ბაქარის ბიბლიაში გვხვდება (პირველი მეფეთა 10.5). ამავე მუხლის უცხოურ თარგმანებში დასახელებულია *არფა*, *ციტარა*, *კინურა* და *ქინორი*, ხოლო სხვა ქართულ ხელნაწერებში მოხსენიებულია *ბობლანი* (ცხრ. 3).

სულხან-საბას ტერმინი *მულნი* მოხსენიებული აქვს *ბარბითის* განმარტებისას და *ბარბითის* უცხოურ შესატყვის ტერმინადაც *მულნი* აქვს დაფიქსირებული, როგორც თურქული ტერმინი (ცხრ. 10). ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ *მულნი* ბიბლიის მხოლოდ ერთ ქართულ თარგმანში გვხვდება და გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი გადამწერთაგან დროთა განმავლობაში დამახინჯებული და დაზიანებულია (ჯავახიშვილი, 1938: 148). სხვადასხვა წყაროს შესწავლის საფუძველზე იგი ასკვნის, რომ ჩვენში არა მხოლოდ ტერმინი შემოსულა, არამედ თავად საკრავიც, რომელიც არაბული *ყანუნის* მსგავსია (ჯავახიშვილი, 1938: 149).

IV. აეროფონები

ბიბლიის ქართულ თარგმანებში აეროფონების აღმნიშვნელი ქართული ტერმინები მრავლადაა გამოყენებული, ტერმინის როგორც ერთი, ისე რამდენიმე ვერსიით:

ნესტჯ/ნესუტი/ნესუტჯ, სასტჯნელი, სტჯრი/სტჯირი/ფსტჯრი/სატჯრი, საყჯრი/საყჯირი/საყჯჯრი/საყჯური. ზემოაღნიშნული ოთხი ტერმინი ქართული სამუსიკო საკრავების აღმნიშვნელი ორიგინალური ქართული ტერმინებია და დამკვიდრებულია ქართულ ლიტერატურაში. ბიბლიის თარგმანებში გვხვდება საკრავის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც, რომლებიც უცხოური წყაროებიდან, თარგმანის დროს ტრანსკრიფციით არის შემოსული: *ავლი, რქა, ასოსრა*. გარდა ჩამოთვლილი საკრავებისა, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩასაბერი საკრავის აღმნიშვნელ ტერმინადაა მიჩნეული ტერმინი *იობელისნი*, რომელზეც ქვემოთ შევჩერდები.

ხელნაწერების შესწავლით ირკვევა, რომ ტერმინები *ნესტჯ, სტჯრი* და *საყჯრი*, პერიოდულად, ერთმანეთს ენაცვლებიან, თუმცა უცხოენოვან წყაროებში შეესაბამებიან ერთსა და იმავე, კონკრეტული საკრავის აღმნიშვნელ ტერმინებს: ინგლისური *trumpet*, ლათინური *buccina*, ბერძნული *salpinx* და ებრაული *shofar*. სხვადასხვა რედაქციაში *საყჯირი* და *ნესტჯი* რომ ერთმანეთს ანაცვლებენ ეს ჯავახიშვილსაც აქვს აღნიშნული (ჯავახიშვილი, 1938: 177, 180), თუმცა იგივე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ *სტჯირთან* დაკავშირებითაც (მაგ., მეოთხე მეფეთა 11:14). სხვადასხვა საუკუნის ხელნაწერის შესწავლიდან ჩანს, რომ ეს ტერმინები თანაბარი ინტენსივობით, ზოგჯერ, ერთმანეთის გვერდით გამოიყენებიან სხვადასხვა საუკუნის წყაროში. ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანმა მეორე ტერმინი ჩაანაცვლა. ამ მხრივ, აშკარა გამონაკლისია ბაქარის ბიბლიაში (XVIII ს.) ტერმინ *ნესტჯის საყჯირით* ჩაანაცვლება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ გავითვალისწინებთ, რომ *ნესტჯი* ზოგადად ჩასაბერი საკრავების აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც ფლეიტის და ენაკიანი საკრავების ჯგუფს მოიცავს, ინგლისურ *trumpet*, ლათინურ *buccina*, ბერძნულ *salpinx*-სა და ებრაულ *shofar*-ს უფრო ზუსტად სწორედ *საყჯირი* შეესაბამება. როგორც ჩანს, ბაქარის ბიბლიის რედაქტირებისას ეს ფაქტორი გათვალისწინებულია. ამის პარალელურად, ბიბლიის ამ ვერსიაში *ნესტჯიც* არც თუ იშვიათად გვხვდება. ცხადია, *საყჯირის, ნესტჯისა* და *სტჯირის* პარალელურ ტერმინებად გამოყენება არ ნიშნავს, რომ რომელიმე კონკრეტული ერთი დასახელების საკრავზეა ლაპარაკი. ბიბლიის ქართულ თარგმანებში გვხვდება ისეთი მუხლებიც, სადაც სამივე ტერმინი ერთდროულადაა საკრავთა ჩამონათვალში (პირველი ნემტა 15:28¹⁰).

სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ტერმინები *ნესტჯი* და *სტჯირი* გამოიყენება სამივე ქვეჯგუფის – *საყჯირისებრი, ფლეიტისებრი* და *ენაკიანი საკრავების* აღმნიშვნელად, ხოლო ტერმინი *საყჯირი* მხოლოდ *საყჯირისებრ* ჯგუფში შემავალი საკრავების აღმნიშვნელად. დღეისათვის, *სტჯირი* ენაკიანი ჯგუფის საკრავებს აღნიშნავს და იშვიათად – ფლეიტისებრსაც (მაგ., *სალამური*), თუმცა *საყჯირის* ჯგუფის საკრავის აღმნიშვნელად, ფაქტობრივად, აღარ გვხვდება.

ტერმინი *სასტჯნელი* ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში გვხვდება მხოლოდ დანიელის წინასწარმეტყველების ნაწილში (3:5, 3:7, 3:10, 3:15), რომელიც ორ ძველ (O, J) და ორ მოგვიანო პერიოდის (B, S) ხელნაწერშია. მათგან, *სასტჯნელი* ნახსენებია მხოლოდ მოგვიანო პერიოდის ხელნაწერებში (B, S). ძველ ხელნაწერებში მის ადგილას გვხვდება *სტჯრი, ნესტჯ*. ზემოაღნიშნული ციტატების ინგლისურენოვან თარგმანში

¹⁰ „და ყოველსა ისრაელსა აღმოაქუნდა კიდობანი იგი შჯულისა უფლისა სასწაულითა და ჳმითა სოფერითა და საყჯრითა და წინწილითა, ჳმა-სცემდეს *ნესტჯთა, ებნითა* და *სტჯრითა*“ (FISD ხელნაწერები).

ფლეიტაა (flute) მოხსენიებული. როგორც ჩანს, B და S ვერსიების რედაქტორებმა ტერმინი *სტური* და *ნესტუ* ჩაანაცვლეს ტერმინ *სასტუნელი*თ.

სულხან-საბა ტერმინს სამ ადგილას სხვადასხვა მორფოლოგიური ვარიანტით იხსენიებს: *სასტუნელი*¹¹, *სასტინავი*¹², *სასტუნელი*¹³.

ჯავახიშვილის აზრით, სულხან-საბას *სასტუნელი* ჩასაბერ საკრავთა ჯგუფის სახელად ჰქონდა მიჩნეული, რომელშიც *სტვირიც* შედიოდა. იგი დანიელის წინასწარმეტყველების 3:5-ის ბერძნულ (*სტირინესი*), ლათინურ (*ფისტულა*) და სომხურ (*სურინგ*) შესატყვისებს განიხილავს, სადაც ბერძნული საკრავის მნიშვნელობას აზუსტებს: „ერთლერწმიანი, ორთავე მხრითგან ღია, უენო ფლეიტის მაგვარი საკრავი უნდა იგულისხმებოდეს“ (ჯავახიშვილი, 1938: 186). აქედან გამომდინარე, მკვლევარი თვლის, რომ მთარგმნელებს ეს ტერმინი კონკრეტული საკრავის აღმნიშვნელად მიაჩნდათ და არა საკრავთა ჯგუფის სახელად, როგორც ეს სულხან-საბასთანაა (ჯავახიშვილი, 1938: 186).

ჩემი აზრით, ტერმინი *სასტუნელი* განმარტებისას სულხან-საბას *სტვირებში* ნაგულისხმები აქვს არა ზოგადად სტვირები, არამედ მრავალღეროიანი სალამური, რომელიც სტვირებისაგან შედგება. *სტვირისა* და *ნესტვის* განმარტებაში მოხსენიებული *სასტინავი* და *სასტუნელი*, უნდა იყოს არა ერთი რომელიმე კონკრეტული საკრავის აღმნიშვნელი ტერმინი, როგორც არის *სასტუნელი*, არამედ აქცენტია ბგერათწარმოების ხერხის აღნიშვნაზე, ზოგადად სტვენაზე. ეს იგივეა, რაც ტერმინები *ჩამოსაკრავი*, *ძალთსაცემელი* ან *მოზიდვითი*, რაც საკრავთა კლასიფიკაციის ქართულ პრაქტიკაში XVIII ს-დან გამოიყენება. ამდენად, ერთ შემთხვევაში ლაპარაკია კონკრეტული საკრავის სახელზე და მეორე შემთხვევაში საკრავთა ჯგუფის გაერთიანებაზე ბგერათწარმოებისა და ჟღერადობის ხაზგასმით.

ტერმინები *სასტუნელი* და *სასტინელი* ბგერათწარმოების ხერხის ხაზგასმის მნიშვნელობით უნდა ჰქონდეს გამოყენებული ჩუბინაშვილს „*სასტუნელი – სალამური, სტური*“ (ცხრ. 3) და ჩიჯავაძესაც, რომელიც „სასტინელი საკრავების“ ქვეშ აერთიანებს ენაკიან და ფლეიტისებრ საკრავებს (ჩიჯავაძე, 2009).

რაც შეეხება ტერმინ *სასტუნელი*ს მნიშვნელობას, როგორც მრავალღეროიანი სალამურისა, რამდენიმე დასაბუთება აქვს. ქართული მრავალღეროიანი სალამური, რომელიც დღეს *ლარჭემისა* და *სოინარის* სახელწოდებით არის ცნობილი, ერთ-ერთი უძველესი ქართული საკრავია, თუმცა პირველი მათგანი საკრავის მასალის, ლერწმის მეგრულ ვერსიას წარმოადგენს, მეორე კი შემოსული ტერმინია და ნიშნავს ზოგადად მილს (იხ. *სოლინარი*, ცხრ. 10). ამდენად, სავარაუდებელია, რომ უძველეს ქართულ საკრავს ქართული შესატყვისი ტერმინიც ჰქონოდა, რომლადაც *სასტუნელი* მიმაჩნია. გარდა ამისა, შემორჩენილია მრავალღეროიანი სალამურის აღმნიშვნელი ლაზური ტერმინი *ოსტინონი*, რომელიც დავით ალავიძეს სამართლიანად მიაჩნდა *სასტუნელის*

¹¹ „(3, 7 დანიელ) სტვირები ZAB“ (ორბელიანი, 1993: 55).

¹² „სტური – (18, 22 გამოცხ.) სასტინავი ZA. 18, 22 გამოცხ. B. განუმარტავია CDE“ (ორბელიანი, 1993: 113).

¹³ „ნესტუ – (ნესტვი ZBCDE) (31, 6 რიცხ.) რადე საკრავი გა(ნ)ვერეტილნი არიან, ნესტვად ითქმიან ZA. რადე საკრავნი განვერეტილნი პირით იბერვიან, ნესტვნი არიან, რაც წვლილად განვერეტილია, ნესტვად ითქმიან B. ნესტვ(ნი) ეწოდებიან, რომელიცა სასტუნელი რქათაგან ანუ ხეთა ანუ ძვალთაგან გა(ნ)თლილ(ი) და გა(ნ)ვერეტილ არიან: სტვირსა, ჰომონსა, ავილსა, სალამურსა, ზურნაიკსა და ყო(ვ)ელთა მისთანათა, ხოლო მათსა მბერავსა მსუამარი (ეწოდების C) CD. განუმარტავია E“ (ორბელიანი, 1991: 590-91).

იდენტურად (ალავიძე, 1978: 83). ლინგვისტურად დადასტურებულია, რომ ტერმინ *ოსტვინუ*-ს ძველი მნიშვნელობა არის *სტვენა*¹⁴.

ბიბლიის ქართული თარგმანების უცხოენოვან წყაროებთან შედარებაც ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი დანიელის წინასწარმეტყველების ნაწილში გვხვდება (3:5, 3:7, 3:10, 3:15). ჯავახიშვილის აღნიშვნით, მას შეესაბამება ბერძნულ (*სზრინესი*), ლათინურ (*ფისტულა*) და სომხურ (*სურინგ*). მას ინგლისურ, ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ წყაროებში მათ შეესაბამება შემდეგი ტერმინები: *flute* (ფლეიტა, ინგ.), *et fistulae* (ფისტულა, ლათ.), *σαπιυζ* (სალპინქსი, ბერძნ.), *mashrukita* (მაშრუკიტა, ებრ.).

ებრაული ტერმინის *მაშრუკიტას* დეფინიცია უცნობია, ამდენად, ინგლისურ თარგმანში ფლეიტის გაჩენა სავსებით ბუნებრივია, რაც შეეხება *სალპინქსსა* და *ფისტულას*, ეს ორივე მრავალღეროიანი სალამურია, შესაბამისად, გაუგებარია ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული განმარტება, რომ იგი „ერთღერწმიან, უენო ფლეიტის მაგვარი საკრავი უნდა იგულისხმებოდეს“ (ჯავახიშვილი, 1938: 186).

ამდენად, მართალია საუკუნეების მანძილზე ქართული მრავალღეროიანი სალამურის სახელად *სოინარი* დამკვიდრდა, მაგრამ მისი ორიგინალური ქართული შესატყვისი სწორედ *სასტვენელი* უნდა ყოფილიყო.

წყაროების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ტერმინები *ავლი*, *რქა* და *ასოსრა* ქართულ ტერმინოლოგიაში ტრანსკრიფციითა და თარგმანით შემოსული ტერმინებია. ეს ტერმინები არ გვხვდება ორიგინალურ ქართულ მწერლობაში.

ბიბლიის ქართულ თარგმანში ტერმინი *ავლი* (ბერძნული *აულოსი*) სამ მუხლში გვხვდება: ესაია წინასწარმეტყველის 5:12 და 30:29 და იერემიას 48:36. სამივე მუხლის ყველა თარგმანში ლაპარაკია მის სინონიმებზე (Pipes, Tibia, Aulos, Chalil), თუმცა იგივე უცხოენოვან ტერმინები სხვადასხვა ქართულ თარგმანში ნათარგმნია როგორც *ნესტვ*, *სტვრი*, *საყვრი*.

ბიბლიის ხელნაწერების მიხედვით ჩანს, რომ ტერმინი *ავლი* მე-XII ს.-ეში შემოსულა, შემდეგ, მოგვიანო საუკუნეებში დამკვიდრებულია (ცხრ. 4).

ტერმინი *რქა*, რომელშიც საკრავი იგულისხმება ნახსენებია სამ ადგილას: მესამე მეფეთა 1:39, 1:40, პირველი მაკაბელთა 9:12. ებრაულ წყაროში ტერმინი *რქა შოფარის* სინონიმად იხმარება და ყველა შემთხვევაში გულისხმობს საკრავ *შოფარს*, რომელიც რქისაგან მზადდება. ქართულ თარგმანში ამ ტერმინის ცალკე საკრავად მიჩნევა მართებული არ არის, იგი ყოველთვის *შოფარის* სინონიმად უნდა განვიხილოთ.

სულხან-საბა საკრავ *საყვირად* განმარტავს ტერმინ *ასოსრას*: „ასოსრა – ვერცხლის საყვირია (+ წყრთეული AB) უვიწროესი სტვირისა ZAB. ასოსრა საყვირი არს ვერცხლისა

¹⁴ ლაზური ლექსიკონი: <http://www.ice.ge/liv/liv/lazur.php> იხ.: *ოსთვინუ* (სტვენა), *ოსტვინუ* (სტვენა), *სტვინე* (სტვენით), *ნოსტვინე* (ნასტვენე) და ა.შ.

წყრთასა მცირედ ნაკლები (ნაკლული Cq.) მცირისა სტვირისა უვიწროესი C“ (ორბელიანი, 1966: 68).

ტერმინი ასოსრა გადმოქართულებული ბერძნული ტერმინია. იგი არის ებრაული *Hatsots'rah*-ს ბერძნული თარგმანი (ä-sos-rä) და ნიშნავს „ვერცხლის საყვირს“¹⁵. მართალია, სულხან-საბა არ აღნიშნავს ტერმინის უცხოურ წარმომავლობას, მაგრამ, ამავე დროს, ტერმინ „საყვირის“ განმარტებისას საყვირის ჯგუფის აღმნიშვნელ სხვა ქართულ ტერმინებთან (*ბუკი, ყვირო-სტვირი, ზროხაკუდი* და სხვ.) ერთად ჩამონათვალში არ მოიხსენიებს.

საკრავების ტერმინების მნიშვნელობის კვლევა მხოლოდ ბიბლიურ წყაროებზე დაყრდნობით არასრულყოფილია. გასათვალისწინებელია არსებული ლექსიკონები, ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურა, ზეპირსიტყვიერი წყაროები. უშუალოდ ბიბლიის კონტექსტში შევჩერდები სულხან-საბას ლექსიკონზე. კვლევისას ყურადღება გავამახვილე ბიბლიურ თარგმანებსა და სულხან-საბას ლექსიკონს შორის საინტერესო კავშირზე. კერძოდ, ბიბლიის მე-18 საუკუნის წყარო – „მცხეთური ხელნაწერი“, როგორც ზევით აღვნიშნე, სულხან-საბას მიერ იყო რედაქტირებული და სხვა ხელნაწერებთან შედარებით მუსიკალური საკრავების აღმნიშვნელი ტერმინების განახლებული ბაზით გამოირჩევა. ეს რედაქცია განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან საშუალება გვაქვს სულხან-საბას მიერ დამუშავებულ ტექსტებში გამოყენებული ტერმინები მისსავე ლექსიკონში გადავამოწმოთ. მას საკრავთან დაკავშირებული ყველა ის ტერმინი აქვს განმარტებული ლექსიკონში, რაც მოხსენიებულია ბიბლიაში; თავადაც ეყრდნობოდა ციტატებს ბიბლიიდან (ცხრ. 10). შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თარგმანის რედაქტირების დროს მის მიერ გამოყენებული ზოგიერთი ტერმინი მისთვის კარგად ნაცნობი თუ იმ პერიოდის საქართველოში გავრცელებული საკრავი იყო, ვინაიდან მათ ვხვდებით ამ ეპოქის ორიგინალურ თუ ნათარგმნ სალიტერატურო წყაროებშიც, განსხვავებით ბიბლიის თანამედროვე მთარგმნელებისაგან, რომელთაც ხშირად უწევთ ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენება, რომლის მნიშვნელობაც არ იციან. ზოგიერთ ტერმინთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია (მაგ., *საყვირი, ნესტვი, ავლი*), ზოგიერთი ტერმინის საბასეული განმარტება წინააღმდეგობაში მოდის მისივე რედაქციის ბიბლიის ციტატებში იმავე ტერმინის გამოყენების კონტექსტთან და საჭიროებს მისი განმარტების დამატებით დასაბუთებას (მაგ. *ებანი*), ზოგიერთი ტერმინის განმარტება ცალსახად არასწორია. მაგალითად, შევჩერდები ტერმინებზე *სამვიკი* და *იობელისნი*.

ტერმინი *სამვიკი* საკრავის აღმნიშვნელი უცხოური, ტრანსკრიფციით გზით შემოსული ტერმინია. ბიბლიაში იგი მხოლოდ დანიელ წინასწარმეტყველის 4 მუხლში გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანს იგი განმარტებული აქვს, როგორც „მცირე ნაღარა ZAB, ებანი, Cab“ (ორბელიანი, 1993: 38), ხოლო „ნაღარას“ რომ დასარტყამ საკრავად მოიაზრებს (ცხრ. 10). სულხან-საბა განმარტებაზე დაყრდნობით ტერმინი *სამვიკი*, როგორც *ნაღარას* სინონიმი, დასარტყამი საკრავის აღმნიშვნელ ტერმინადაა მიღებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიკაციებში.

¹⁵ http://www.musicofthebible.com/extra_trumpets.htm

დანიელ წინასწარმეტყველის იმავე მუხლების ინგლისურ, ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ წყაროებში ტერმინ *სამვიკს* შეესაბამება შემდეგი ტერმინები: *sackbut, sambuca, sambuca, sabka* (greek *sambuca*), რაც ადასტურებს, რომ ტერმინი ტრანსკრიფციითაა შემოსული. გროუვის ლექსიკონის მიხედვით, ინგლისური ტერმინი *sackbut* ტრომბონის ერთ-ერთი სახეობაა (Mckinnon/r, 2014: 364). ამავე ლექსიკონში ბერძნული ტერმინი *sambuca* მიჩნეულია ანტიკური ბერძნულ-რომაული კუთხოვანი არფის ტიპის სიმებიან საკრავად (Mckinnon/r, 2014: 372). დანიელის წინასწარმეტყველება ებრაულ ენაზეა დაწერილი. ებრაულ პირველწყაროში მოხსენიებული ტერმინი *საბკა* მონტეგიუს განმარტებით, ასევე, სიმებიანი საკრავი, იგივე ბერძნული *სამბუკა* (Montagu, 2002: 100). მონტეგიუ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ვინაიდან ინგლისურად მთარგმნელებმა არ იცოდნენ, თუ რას გულისხმობდა ბერძნული ტერმინი *სამბუკე*, იგი მიაღწავს ევროპული ტრომბონის ერთ-ერთ სახელწოდებას – *საკბუტს* (Montagu, 2002: 98). ჩვენთვის უცნობია ქართული თარგმანები რომელი ენებიდან განხორციელდა და მთარგმნელებმა იცოდნენ თუ არა ტერმინის პირველწყაროს მნიშვნელობა, არც ის ვიცით, თუ რის საფუძველზე მიიჩნია სულხან-საბამ იგი დასარტყამი ჯგუფის საკრავის აღმნიშვნელ ქართულ ტერმინად, როცა ბერძნულ და ებრაულ წყაროებში იგულისხმება სიმებიანი საკრავები, ინგლისურსა და ლათინურში კი – ჩასაბერი, და არც მისი ქართული წარმომავლობის დამადასტურებელი ცნობა გვაქვს. ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნითაც, სულხან-საბამ მცდარ მოსაზრებას აფიქსირებდა ტერმინების, *სამვიკი* და *დუმბული* ქართულობასთან დაკავშირებით (ჯავახიშვილი, 1938: 203), თუმცა თავად ტერმინ *სამვიკთან* დაკავშირებით, თუ საკრავთა რომელ ჯგუფს შეიძლება შეესაბამებოდეს, არაფერს გვეუბნება.

ტერმინი *იობელისნი* გვხვდება შემდეგ მუხლებში: იესო ნავეს ძე 6:4, 6:5:

1. „და შჯდთა მდდელთა აღეხუნედ შჯდნი ნესტუნი იობელისნი წინაშე კიდობნისა მის“ (იესო ნავეს ძე 6:4; BDS ხელნაწ.);
2. „რაჟამს დაჰბეროთ ნესტუთა მათ იობელისათა, ღაღად-ყავნ ყოველმან ერმან“ (იესო ნავეს ძე 6:5; B ხელნაწ.).

იობელი გახლავთ ბიბლიური პერსონაჟი, რომელსაც საკრავის შემქმნელად მოიხსენიებენ (დაბადება 4:21), შესაბამისად, „იობელისნი“/„იობელისათა“ დაკავშირებულია ამ პერსონაჟის სახელთან, აღნიშნავს საკრავის მესაკუთრეს და არა საკრავის აღმნიშვნელ ტერმინს. ამას ისიც ადასტურებს, რომ უცხოენოვან წყაროებში იგივე ტერმინი საკრავის აღმნიშვნელად მოხსენიებული არ არის.

გარდა წერილობითი წყაროებისა, მეცნიერები ძველ აღთქმაში მოიხსენიებული საკრავების შესახებ წარმოდგენის შექმნას სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტებსა და არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილ მასალებზე დაყრდნობით ცდილობენ. მასალის სიუხვის მიუხედავად, ათასწლეულების შემდეგ, ყველა საკრავის იდენტიფიცირება და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, მათ შორის, დედანში მოხსენიებულ საკრავებზეც. თუმცა, სამომავლოდ, ქართულ მუზეუმებში დაცული არტეფაქტების მრავალი უცნობი ნიმუშის გამოვლენა და შესწავლა, ვფიქრობ, მრავალ საინტერესო ცნობას მოგვაწვდის ძველი ქართული, მათ შორის, ბიბლიის ქართულ თარგმანებში მოხსენიებული საკრავების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალავიძე, დ. *ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები*. თბილისი: ხელოვნება. 1978.
2. მგალობლიშვილი, ე. „წინწილა“ სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობაში“. კრებულში: *პიროვნება, საზოგადოება, კულტურა დროის კონტექსტში. მუსიკისმცოდნეობის საკითხები*. სამეცნიერო შრომების კრებული, 2015. გვ. 234–240. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.
3. მგალობლიშვილი, თ. (შემდგ.) *კლარჯული მრავალთავი*. სერია: *ძველი ქართული მწერლობის ძეგლები*, 12/1. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა. თბილისი: მეცნიერება. 1991.
4. ნადირაძე, ე. *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*. რედ.: როინ მეტრეველი. თბილისი: მერიდიანი. 2013.
5. ორბელიანი, ს.ს. *მოგზაურობა ევროპაში*. თბილისი: ფედერაცია. სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. თბილისი: ფედერაცია. 1940.
6. ორბელიანი, ს.ს. *ლექსიკონი ქართული*. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. IV ტ., წ. I. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი: ფედერაცია. 1991.
7. ორბელიანი, ს.ს. *ლექსიკონი ქართული*. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. IV ტ., წ. II. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი: ფედერაცია. 1993.
8. პეტრიწი, ი. *ნემესიოს ემესელი. ბუნებისა-თჳს კაცისა*. ბერძნულიდან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს.რ. გორგაძემ. ტფილისი: გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა #17. 1914.
9. ფირცხალავა, ნ. „იოანე პეტრიწის მუსიკალურ-ესთეტიკური აზროვნება ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისას“ მიხედვით“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები*, 2010. გვ. 531–549. რედ.: წურწუმია, რუსუდან, ჟორდანიას, იოსებ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
10. შილაკაძე, მ. *ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა*. თბილისი: მეცნიერება. 1970.
11. შილაკაძე, მ. „სამუსიკო ტერმინოლოგია ბიბლიის ქართული თარგმანის რედაქციებში (სამუსიკო ინსტრუმენტთა სახელწოდებანი)“. *ჟურნალში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის*, 2005, XXV, გვ. 297–304. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი.
12. შილაკაძე, მ. *ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი*. თბილისი: კავკასიური სახლი. 2007.

13. ჩიჯავაძე, ო. *საკრავები ძველ საქართველოში*. სსიპ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი. 2009.
14. ჩხიკვაძე, გ. *ქართული ხალხური სამუსიკო ტერმინების პირველწყაროები*. ხელნაწერი შრომა. დაცულია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში. 1973.
15. ჯავახიშვილი, ი. *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: ფედერაცია. 1938.
16. ჯავახიშვილი, ი. (რედ.). *მეურნეობის სხვადასხვა დარგი და ზოგიერთი ყოფითი რეალია. სერია: მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის*. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად. V ტომი. თბილისი: მეცნიერება. 1992.
17. Braun, J. *Music in Ancient Israel/Palestine: Archaeological, Written and Caomparative Sources*. Translated by Douglas W. Stott. Series: *Bible in Its World*. Wm. B. Eerdmans Publishing Co. 2002.
18. Burgh, T. *Listening to the Artifacts: Music culture in Ancient Palestine*. New York, London: T&T clark. 2006.
19. Mckinnor/r, J.W. "Sambuca". In. *The Grove Dictionary of Musical Instruments*. P. 372. Vol IV. Second Edition. Editor in Chief: Laurence Libin. Oxford University Press. 2014.
20. Montagu, J. *Musical Instruments of the Bible*. Scarecrow Press: Lanham, Md., & London. 2002.
21. Kolari, E. *Musikinstrumente und ihre Verwendung im Alten Testament (Eine Lexikalische und Kulturgeschichtliche Untersuchung)*. Helsinki. 1947.
22. Kolyada, Y. *A Compendium of Musical Instruments and Instrumental Terminology in the Bible*. London: Royal Academy of Music in London. 2009.
23. Smith, J.A. *Music in Ancient Judaism and Early Christianity*. Ashgate publishing. Routledge. 2011.

სტატიაში გამოყენებულია ორი სურათი და 12 ცხრილი.

ვრცელი ცხრილების (ცხრ. 1ა, ცხრ. 1ბ, ცხრ. 3, ცხრ. 4, ცხრ. 5, ცხრ. 6, ცხრ. 10) ნახვა შესაძლებელია [ჟ](#)

(<https://drive.google.com/drive/folders/1DNqYWDqQX31jYO9yKLAV5KFu7nprmyzd?usp=sharing>).

Article received: 2021-06-27